



# შიდა უდიტის და ინსპექტირების სამსახურის 2020 წლის საქმიანობის შემაჯამებელი ანგარიში

12/20/2020

სამსახურის უფროსი: კობა ხაბალაშვილი



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 დეკემბერს #16 დადგენილებით, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახური“ დაკომპლექტდა ორი განყოფილებით: შიდა აუდიტის და ინსპექტირებისა და ანალიტიკური განყოფილება.

შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურში დასაქმებულია 7 საჯარო მოსამსახურე. სამსახურის სტრუქტურა შედგება სამსახურის უფროსის, 2 განყოფილების უფროსისა და 4 მთავარი სპეციალისტისაგან.

მოხელეებს საჯარო სამსახურში მუშაობის საკმაო გამოცდილება გააჩნიათ, ძირითადად, ფინანსური საქმიანობის კუთხით.

შიდა აუდიტის არსია, დაწესებულების საქმიანობის გაუმჯობესებასა და მისი მიზნების მიღწევის უზრუნველყოფისაკენ მიმართული დამოუკიდებელი, ობიექტური და საკონსულტაციო საქმიანობა, რომელიც სისტემატიზებული, დისციპლინური მიდგომით აფასებს და აუმჯობესებს რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესის ეფექტიანობას და მიმართულია დაწესებულების ამოცანების სრულყოფილად შესრულებისკენ. შიდა აუდიტი აფასებს და აუმჯობესებს ფინანსური მართვისა და კონტროლის სიტემას, რისკების მართვის ეფექტიანობას, რაც აუმჯობესებს დაწესებულების წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებას. წარმოადგენს საშუალებას, რომელიც აწვდის დაწესებულების ხელმძღვანელს დამოუკიდებელ რწმუნებას იმისა, რომ დაწესებულების შიგნით არსებული კონტროლის მექანიზმები აღწევენ დასახულ მიზნებს და რისკების მართვა ეფექტურად ხორციელდება. შიდა აუდიტის საქმიანობა მოიცავს დაწესებულების მთელი რიგი აქტივობებისა და პროცესების შეფასების სხვადასხვა სფეროს, რათა უზრუნველყოს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შესაბამისობა მიზნებთან, წესებთან და სტანდარტებთან, ასევე, გონივრულ ფინანსური მართვის პრინციპებთან.

შიდა აუდიტი ახორციელებს შეფასებას და ამ შეფასებაზე დაყრდნობით შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რაც ეხმარება დაწესებულების ხელმძღვანელს მართვის პროცესს მიზნების მიღწევაში და საჯარო დაწესებულებაში შესაბამისი ეთიკის და ღირებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობაში. შიდა აუდიტორული საქმიანობა გულისხმობს რისკების გამოვლენას და რისკების შეფასებას, ხელს უწყობს რისკების ეფექტურ მართვას და კონტროლის სისტემების დახვეწას ეფექტური კონტროლის შესანარჩუნებლად, კონტროლის სისტემების ეფექტურობისა და ეფექტიანობის შესწავლას და მათი უწყვეტი განვითარების ხელშეწყობას.

შიდა აუდიტის სამსახური, სამსახურეობრივ უფლებამოსილების ფარგლებში საქმიანობას ახორციელებდა მერის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული გეგმისა (2018-2020წ.) და წლიური 2020 წლის გეგმების შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებული წლიური გეგმის შესაბამისად გათვალისწინებული იყო ხუთი ობიექტის შემოწმება, მათ შორის ორი მერიის სტრუქტურული ერთეულის და სამი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის შემოწმება.

წლიური გეგმა ითვალისწინებს შემოწმების შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს. გეგმის შესაბამისად, გათვალისწინებული იყო შვიდი მონიტორინგი.

ქვეყანაში არსებულმა ეპიდემიოლოგურმა სიტუაციამ გავლენა იქონია შიდა აუდიტის განყოფილების საქმიანობაზე, განყოფილება შიდა აუდიტის სტანდარტების შესაბამისად დისტანციურად ვერ ახორციელებდა შიდა აუდიტორულ შემოწმებებს, შედეგად, შემოწმებული იქნა მხოლოდ ერთი ობიექტი და მონიტორინგი ჩაუტარდა სამ ობიექტს.

ინსპექტირებისა და ანალიტიკურმა განყოფილებამ იანვრის თვეში ხელმძღვანელობის დავალებით განახორციელა მერიის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების შინაგანაწესების გადამოწმება. განყოფილების მიერ მომზადდა შესაბამისი რეკომენდაციები.

მარტი-აპრილის თვეში დისტანციური შრომის რეჟიმის პერიოდში განყოფილებამ მოიკვლია ა.(ა).ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრი“-ს უმეტესადაა დაარჩენილი ცხოველების იზოლაციის განყოფილებისა და ოზურგეთის „ცხოველთა თავშესაფრის“ საქმიანობა, უფლებები და მოვალეობები.

ანალიტიკის კუთხით შემოწმებული იქნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული განცხადებები მაწანწალა (უპატრონო) ძაღლების მიერ მოსახლეობისათვის ზიანისა და საფრთხის მიყენების საშიშროებებთან დაკავშირებით დახმარების გაწევის შესახებ, რომლებიც შესასრულებლად დავალებული ჰქონდა ა.(ა).ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრს.“

მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოცემული 3 ივლისს #3198 ბრძანებით ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულებაზე მონიტორინგისა და კონტროლის განსახორციელებლად ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განლაგებული ობიექტების შემოწმების ეფექტურად განხორციელებისა და მათთვის მუშაობის გაგრძელების ნებართვის გასაცემად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში შიქმნა მობილური ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის თანამშრომლები.

მ/წლის ივლისსა და აგვისტოში, აუდიტის სამსახურის მიერ დაბა ურეკში შემოწმებული იქნა ობიექტები (სასტუმროები, საოჯახო ტიპის სასტუმროები), ხოლო სექტემბრის თვეში შემოწმდა ქალაქ ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სკოლები, შემოწმების შედეგად გაიცა შესაბამისი ნებართვები.

ინსპექტირების და ანალიტიკური განყოფილების თანამშრომლები მონაწილეობენ გურიის რეგიონალური ცხელი ხაზის მუშაობაში.

**შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის უფროსი**

**კობა ხაბალაშვილი**